ცნობის ფურცელი

№ 2372 სამშაბათი, 6 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2372

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

დღესასწაულისა გამო შემდეგი № „ცნობ. ფურც.“- სა გამოვა ხუთშაბათს, 8 იანვარს

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება, თუ არ დაუმატა თვეში 25 კაპ.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ. დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარედ.
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

„ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდება სურათები „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყო გურიიდან. სურათები არის ფოტოგრაფიით გადაღებული და ხელით ნახატი ბ. [illegible]ოგიაშვილის მიერ. გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების მჭეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—28)

ე ქ ი მ ი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46. (0—4)

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლღას ქუჩა, № 31. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე (0 31)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეებში 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე. (0—8)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი [illegible]. (0—3)

წარმ. 37.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ა?

დრამა 3 მოქმ. ფოოსისა, თარგმ. ნიკიტინისა.

II

ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი ა

ვოდევილი 1 მოქ. ნ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, სარჯველაძე.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ლალატი“ სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხისა.

რეჟისორი ა კ ა კ ი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 6 იანვარს, 1904 წ., ორი წარმოდგენა, დილით

რ უ ს ა ლ კ ა

საღამოთი **რ ი გ ო ლ ე ტ ო**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ენკვისტი, კალინინა, კარტავინა, კარი, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, ბროჯი-მუტინი, სელიავინი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, სანგურსკი, ფედოროვი, კლიუზნერი, გრინევი, რაზუმნი. დასაწყისი დილ. 12½ ს., საღ. 8 საათზე. კაპელმეისტრები ი. ა. პოზენი, ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 7 იანვარს წარმოდგენილ იქმნება „ტანგეიზერი“, 8 იანვ. „ბოშების ბარონი“ (ნ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:
ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.
ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.
ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საზე ,ბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ბრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. გ. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.)
ტელეფონი № 274

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ბევრს იმედი ჰქონდა, „ამომავალ მზის ქვეყანა“ და „ორთავიანი არწივი“ ერთმანეთს ზარბაზნის ქუქა-ქუხილით და თოფების ჭახა-ჭუხით მიულოცვენ ახალ წელიწადსაო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. იაპონია და რუსეთი დღესაც დიპლომატიურ მოლაპარაკებას განაგრძობენ და, როგორც ბევრი მცოდნე კაცი ირწმუნება, უსათუოდ მორიგებით გაათავებენ თავიანთ დიდს დავასაო. დღესაც არავინ იცის, საქმე როგორ გათავდება, მაგრამ ის კი აშკარაა ყველასათვის, რომ ორივე სახელმწიფო მარტო დიპლომატიურ მოლაპარაკებას არა სჯერდება და ორივე ბეჯითად ემზადება საომრად. იაპონია ხომ ყველას აკვირვებს თავის ბეჯითობითა და სიფიცხით.

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: ინგლისელებს და საზოგადოთ უცხოელებს მეტად აკვირვებს იაპონელ სამხედრო აგენტების ბეჯითი მოქმედება. მრავალი იაპონელი სპეციალისტი ყოველ დღე ომისათვის საჭირო მასალას ჰყიდულობს. კარდიფში იმდენ ქვა-ნახშირს ჰყიდულობენ, რომ ინგლისელებს ეშინიანთ, ვაი თუ ჩვენ საკუთარ ფლოტს აღარ ეყოსო. არმსტრონგის ფირმისაგანაც დიდძალ ზარბაზანსა და ყუმბარას ჰყიდულობენ. მრავალ მექანიკსა, გემის ინჟინერსა და არტილერისტსაც ქირაობენ. იაპონელი აგენტები ფიუმეშიაც (ავსტრიაში) ამნაირადვე ფიცხად მოქმედებენ. იქაც დიდძალი ნაღმიანი გემი იყიდეს. გემის პატრონები დიდის ხალისით უთმობენ თავიანთ გემებს იაპონიას. ჩილის მთავრობამ წინადადება მისცა, კიდევ 14 გემს მოგყიდითო, მაგრამ იაპონელებს ფასი ეძვირათ და ჯერ არ მორიგებულან. იაპონელები სასანიტარო საქმესაც რიგზე აწყობენ. ინგლისური საექიმო ჟურნალი სწერს: იაპონელებმა ეს საქმე ისე მშვენივრად მოაწყეს, რომ უკეთესად აღარ შეიძლებაო; მეტადრე კარგად აქვთ მოწყობილი საავადმყოფოებიო.

ინგლისელი მოგზაური ჯორჯ ლინჩი სწერს ცალკე გამოცემულ წიგნაკში: იაპონელებმა მშვენივრად შეისწავლეს მანჯურია და კორეია და მეტად კარგი რუკაც შეადგინეს. რუსები ფიქრადაც ვერ იფიქრებენ, თუ რა კარგადა და დაწვრილებით აქვთ შესწავლილი იაპონელებს ის ადგილები, სადაც მალე რუსისა და იაპონიის ჯარები ერთმანერთს უნდა დაეტაკონო.

ინგლისი და იაპონია

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონიის მთავრობის წინადადებით ინგლისელი მეზღვაური ჯარის-კაცები და ოფიცრები იაპონიას წავიდნენ. დანიშნულ წამს დიდ-ძალი ხალხი შეიყარა ნავთ-სადგურზე და მეზღვაურები დიდის ალტაცებით გააცილა. ხალხი სიმღერებს მღეროდა და სიხარულით ყვიროდა: „ურა, გაუმარჯოს იაპონიას! სალამი „ამომავალ მზის ქვეყანას!“ გაუმარჯოს განათლებას, თავისუფლებას! ძირს ბარბაროსობა!“

ინგლისური გაზეთები დიდს თანაგრძნობას უცხადებენ იაპონიას და ირწმუნებიან, ინგლისიც დიდს დახმარებას გაუწევს თავის მოკავშირე სახელმწიფოსაო.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: „29 დეკემბერი. ინგლისის პირველმა მინისტრმა ბალფურმა დღეს საღამოს მანჩესტერში სიტყვა წარმოსთქვა შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე. პირველმა მინისტრმა სთქვა: იმედი მაქვს, ყველა დარწმუნებულია, რომ ინგლისი ყველა თავის მოკავშირესთან პირნათლად გამოვა და ყველა თავის მოვალეობას უკლებლივ აასრულებსო“.

ამერიკა და იაპონია

ინგლისური გაზეთები სწერენ: თუ ომი მოხდა, ამერიკა [illegible] ქერს მხარსაო. ფილიპეს კუნძულების გუბერნატორად ნამყოფს ტაფტს, იოკაგამაზე გამოვლის დროს, ამერიკის საკონსულოში გადაკრით ეთქვა მარკიზ იტოსათვის: თუ ომი მოხდა, ამერიკა „მეგობრულ ნეიტრალიტეტს“ დაიცავს და თუ საჭირო აღმოჩნდა, იაპონიის ფლოტს ფილიპეს კუნძულებზე თავის ნავთსადგურებსაც დაუთმობსო.

ამერიკელები ამბობენ: იაპონია ცივილიზაციისა და თავისუფლების გულისათვის იბრძვის, ამიტომ ყველა ამერიკელი იაპონიას სულითა და გულით უნდა თანაუგრძნობდესო. თუ ვინიცობაა იაპონია დამარცხდა, ამერიკა ეცდება, „ამომავალ მზის ქვეყანას“ არაფერი ზარალი არ მიეცესო.

მილიერანის გამორიცხვა სოციალისტთა პარტიიდან

22 დეკემბერს სენის დეპარტამენტის სოციალისტთა ფედერაციამ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა, მილიერანი სოციალისტთა პარტიის სიიდან ამოვშალოთო.

საქმე ასე ყოფილა. წარსულ ნოემბრის 10 მილიერანმა პალატაში მხარი არ დაუჭირა ჰიუბარის წინადადებას იარაღის აყრის თაობაზე. სენის სოციალისტების ფედერაციამ მაშინვე წინადადება მისცა პარიზის მე-12 საარჩევნო ოლქის კომიტეტს (მილიერანი ამ ოლქშია არჩეული დეპუტატად), მილიერანს პასუხის გება მოსთხოვეთო. კომიტეტმა მილიერანს მოსთხოვა პასუხი და გამოაცხადა, ჩვენს დეპუტატს ყველაფერში ვეთანხმებითო. ამის შემდეგ ფედერაციამ კრება მოახდინა და მოკლე კამათის შემდეგ დაადგინა, მილიერანი სოციალისტთა პარტიიდან გამოვრიცხოთო.

თითონ მილიერანზე ამ დადგენილებას მაინცა და მაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მილიერანს უთქვამს „ტან“-ის თანამშრომლისათვის: მართალია ნება მაქვს, სოციალისტთა კონგრესთან ვიჩივლო, მაგრამ ეს ჩივილი საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგან წარსულმა კონგრესმა ნდობა გამომიცხადა. ფედერაციის დადგენილება ძლიერ საწყენად მიმაჩნია. ეს გადაწყვეტილება მე არას დამაკლებს, მაგრამ სოციალისტების პარტიას კი დიდს ზარალს მისცემს. ნაციონალისტებს კარგი იარაღი მიეცათ სოციალისტების წინააღმდეგ. მე კი ისევ ისეთი სოციალისტი დავრჩები, როგორიც აქამდე ვიყავი.

ფრანგულმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ამბავს. ბურჟუაზიულ გაზეთებს მეტად გაუხარდათ მილიერანის გამორიცხვა. სოციალისტური გაზეთები კი ორ ბანაკად გაიყო: ზოგს სწყინს ეს ამბავი, ზოგს უხარიან. სოციალისტი დეპუტატი ჟერო რიშარი თავგამოდებით ესარჩლება მილიერანს გაზ. „პტი რეპუბლიკ“-ში. ჟერო სწერს: 10 ნოემბერს პალატაში მილიერანმა იარაღის აყრა სრულობითაც არ უარ-ჰყო. ვაჭრობის მინისტრად ნამყოფი მხოლოდ იმ აზრისა იყო, რომ ეს საქმე საფრანგეთმა არ უნდა ითავოსო. მილიერანს 10 ნოემბერს არაფერი ცოდო არ ჩაუდენია და ჩვენის პარტიის პროგრამა არაფრით არ დაურღვევია, რადგან ჩვენი პარტია იმ აზრისაა, რომ ყველა სახელმწიფომ იარაღი ერთბაშად, ერთსა და იმავ დროს უნდა აიყაროსო. ჩვენის პარტიის პროგრამაში სრულობითაც არაა ნათქვამი, რომ ეს საქმე უსათუოდ საფრანგეთმა უნდა ითავოსო. მაგრამ ჩვენი პარტია ხან და ხან იმნაირადვე იქცევა, როგორც კათოლიკე ეკკლესია საშუალო საუკუნოებში იქცეოდა ხოლმე. დრო-გამოშვებით ჩვენი პარტიაც დოგმატებს გამოსცემს და ურყევ წესებს დააწესებს ხოლმე და ვინც ამ დოგმატსა და წესს არ ეთანხმება, ერეტიკოსებად აღიარებს და პარტიიდან სდევნის. ძლიერ ვსწუხვართ, რომ თავისუფლების მომხრე პარტია ასეთს ჟინიანობას იჩენს. თუ სოციალისტთა პარტია ამ [illegible]

გამოკვლევის უფლებას აუკრძალავს, მალე სულ გაქვავდება და კიდევაც დაილუპება." გაზ. „აკციონ"-იც მილიერანს ემხრობა, მაგრამ ფედერაციის დადგენილებას დიდ პოლიტიკურ ამბად არა სთვლის.

„სოციალისტ"-ი, პირიქით, იწონებს ფედერაციის დადგენილებას და უმატებს, ჟორესიც უნდა გამოირიცხოს პარტიიდანაო. კლემანსო „ორორ"-ში სურვილს გამოსთქვამს, კარგი იქმნება, საფრანგეთში დიდი პარტია დაარსდეს სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმების ასასრულებლადაო. სოციალისტები და რადიკალები უნდა საერთოდ მოქმედებდნენ, თუმცა, რასაკვირველია, ორსავე პარტიას თავიანთი საკუთარი პროგრამებიც უნდა ჰქონდეთო. მილიერანს გულით ეწადა ამნაირ პარტიის დაარსება, მაგრამ ვერ მოახერხა; იქმნება ეს საქმე ეხლა ჟორესმა მოახერხოს? კლემანსო უმატებს: ეხლა, ამ განხეთქილების დროს, ყველა ჟორესისაკენ იცქირება. კარგი იქმნება ჟორესმა გარკვევითა და გულ-ახდით გამოსთქვას, რევოლიუციას ემხრობა, თუ რეფორმას. ვინ იცის, იქმნება ბურჟუაზიულ რესპუბლიკის მომავალი ევოლიუცია ჟორესისა და იმის მეგობრების გადაწყვეტილებაზე იყოს დამოკიდებული?

ჟორესს ჯერ ხმა არ ამოუღია ამ საქმეზე; ამ ჟამად პარიზში არაა.

შრომის კერძო კონტორები საფრანგეთში

პარიზელმა პურის მცხობლებმა თავიანთ კრების დადგენილებისამებრ საყოველთაო გაფიცვა მოახდინეს და მოითხოვეს, შრომის კერძო კონტორები დაუყოვნებლივ გაუქმდესო. თუმცა გაფიცული მუშები წყნარადა და წესიერად იქცეოდნენ და გაფიცვაზე მალე სულაც ხელი აიღეს, მაინც ერთს გამომძიებელს განკარგულება მოეხდინა და გაფიცვის მეთაურები—ოთხი მუშა დაეპატიმრებინა. მართალია, დატუსაღებული მუშები საახალწლოდ გაანთავისუფლეს, სოციალისტ-დეპუტატებს მაინც გადაუწყვეტიათ, ამ საქმეზე მთავრობას შეეკითხოთო. მაგრამ პირველ მინისტრს კომბს თითონაც ისე ძლიერ სწყენია ამეტან ერთგულ გამომძიებლის ქცევა, რომ ამ გამომძიებელს არზა შეუტანია, „ავადმყოფობისა გამო" სამსახურიდან დამითხოვეთო.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 6 იანვარს, „ტფილისის კრუჟოკის" დარბაზში, კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის დიასახლისობით გაიმართება **თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი ბალი** სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

✦ როგორც გავიგეთ, 14 **იანვარს ბათუმში** გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ. ჰფიქრობენ, ამ დღეს წარმოადგინონ დ. კლდიაშვილის ერთ-მოქმედებიანი ახალი პიესა.

✦ ამ ცოტა ხანში **„წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა"** თავის სადგომში აარსებს თავისავე მუშებისათვის სამკითხველოს. სხვათა შორის, ამ სამკითხველოში გაიმართება სახალხო კითხვები ბუნდოვანის სურათებით. პირველი კითხვა დანიშნულია 11 იანვრისათვის.

✦ ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შეატყობინა მიწათმოქმედების დეპარტამენტს, რომ სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებად **მევინემევენახეობის კომიტეტში** დაინიშნენ თავ. ს. ვახვახიშვილი და ქ. ვერმიშევი. გუშინ წინ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა აცნობა საზოგადოებას, რომ კომიტეტის სხდომები დაიწყება იანვრის ბოლო რიცხვებშიო.

✦ როგორც საჩხერიდან გვწერენ, **შორაპანსა და საჩხერეს** შუა სახალხო მატარებლების წესიერი მიმოსვლა უკვე დაიწყო. საჩხერეში პირველად სახალხო მატარებელი მივიდა 31 დეკემბერს. მატარებლის მოსვლას ადგილობრივი მცხოვრებნი აღტაცებით მიეგებნენ.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულმა ბიურომ, რომელიც მსურველთ აწვდის სამეურნეო იარაღსა და სხვა და სხვა წამლებს, მარსელიდან დაიბარა 6 **ვაგონი გოგირდი**.

✦ 4 იანვარს, **განჯის დაპყრობიდან** 100 წლის შესრულების დღეს, ტფილისის ქალაქის მოურავმა დეპეშით მიულოცა განჯის ქალაქის მოურავს. განჯის ქალაქის მოურავმა გუშინ სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა მოურავს.

✦ **პირიქით ხევსურეთში** მომავალ ზაფხულიდან ორის ჩაფრის მაგივრად ინიშნება 10 ჩაფარი თავიანთის ურიადნიკით, ხევსურების ქისტებისაგან დასაცველად. ეს საერობო დარაჯთა რაზმი იდგება სოფ. შატილში.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეატყობინა **ქუთაისის განყოფილებას**, რომ საბჭო წინააღმდეგი არ იქნება, თუ განყოფილება თავის მდივნად დავით მდივანს მიიწვევსო.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს **პირველი კრება** წელს დანიშნულია 12 იანვრისათვის.

✦ **ფოთი**. ქალაქის მოურავმა ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინა თავის მოადგილეს ი. ფანცხავას, რომ პორტის ახალ სამუშაოს განაწილების საქმე ქალაქსა და ხაზინას შორის ქალაქის სახეიროდ გადასწყდაო.

✦ პროვიზორს ელენტს ნება მიეცა **გახსნას ფოთში მეორე აფთიაქი**. ორი წელიწადია, რაც ამ საქმის განხორციელებას სცდილობდა ხსენებული პროვიზორი, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, საქმე შეჩერებული იყო.

✦ მღვ. ნესტორ ბაკურაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულითად მადლობას ვუცხადებთ კნეინა ელისაბედ ნიკოლოზის ასულს ბაგრატიონ-მუხრან ბატონისას და ხანშა ნისა-ხანუმ იბრაგიმბეგოვისას, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს რწმუნებულ ჩემს ღარიბს წმ. ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედის ღარსის ეკკლესიის განსაახლებლად პირველმა ოცდა თხუთმეტი (35 მ.) და მეორემ ოცდახუთი (25 მ.) მანეთი".

✦ დუშეთის სამაზრო გამგეობის საქმის—მწარმოებლად ინიშნება ნ. მ კობიაშვილი, თარჯიმანი ამავე სამმართველოსი, ხოლო იმის ნაცვლად თარჯიმნად გედევანიშვილი, მცხეთის სოფლის მწერლად ყოფილი.

✦ ტფილისის მოქალაქეს ვასილ ვაზნიანს უსიამოვნება ჰქონია ავჭალის ქუჩაზე ბაზაზოვის სახლში მცხოვრებ ზაქარია მამულაშვილთან, რომელსაც 3 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე, შევარდნია და დანით რამდენჯერმე დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, სადაც შემოწმებით აღმოჩენილა, რომ მამულაშვილის მორჩენა საეჭვოა. ვაზნიანი გაიქცა და სადღაც გადაიმალა.

რუსეთის ქრონიკა

✦ როგორც „დნ. ვ". გადმოგვცემს, სმოლენსკის მესამე ნაწილის ბოქაულს გამოუცია შემდეგი განაცხადება: რადგან უკანასკნელ დროს ძლიერ გამრავლდნენ არა კეთილ-სამედო პირნი, რომელნიც სახლებს ცეცხლს უკიდებენ, ვსთხოვ სახლის პატრონთ თვით უდარაჯონ ღამ-ღამობით თავიანთ სახლებს, ან დაიქირაონ კეთილ-სამედო პირნი და დაავალონ ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური ქუჩაში გამვლელთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმათ, რომელნიც სახლებთან წერილებს სტოვებენ; შეიპყრონ ისინი და წარმომიდგინონო.

✦ დონის ყაზახთა ოლქის მმართველობას გამოუცია ცირკულიარი და დაუვალებია პოლიციის მოხელეთათვის, ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური სამრეწველო დებულების მე-430 და 431 მუხლის შესრულებას, რომლის ძალითაც სახელოსნო დაწესებულებებში სამუშაო დღე ათს საათს არ უნდა აღემატებოდეს.

✦ შობა ღამეს ჩერნიგოვის გუბერნიის პას. დობრიანსკში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გაუძარცვავთ ადგილობრივი ბანკი. მოუკლავთ სამი დარაჯი, მოუტაცნიათ ფულები და დამალულან კიდევაც. („კიევს. სლ.")

— როგორც „კიევ. გაზ". იუწყება, უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია საკითხი კიევში ობერ-პოლიცმეისტერის თანამდებობის დაწესების შესახებ. თუ როდის იქნება ეს თანამდებობა შემოღებული, დამოკიდებულია ადგილობრივ უმაღლეს მთავრობაზე.

✦ თურქესტანის სასულიერო კონსისტორიის დაუგზავნია თავის ეპარქიის მართლმადიდებელ სამღვდელოებისათვის ცირკულიარი, რომლის ძალითაც სასტიკად ეკრძალება სამღვდელოებას პოლიტიკურ შინაარსის ქადაგებების წარმოთქმა. ცირკულიარში, სხვათა შორის, ნათქვამია, „სამღვდელოებას უნდა ახსოვდეს, რომ პოლიტიკა მხოლოდ მთავრობის საქმეა, სამღვდელოებისა კი სიტყვითა და საქმით სარწმუნოებისა და ზნეობის სწავლება".

✦ როგორც „ურალსკაია ჟიზ". გვაუწყებს, ვოტკინსკის სახაზინო ქარხანას შუაღამეს ცეცხლი გაჩენია. ცეცხლი სისწრაფით მოსდებია ქარხნის მახლობლად მდებარე მუშების სადგომებს. მოულოდნელ უბედურებას ბევრი ხალხი უმსხვერპლნია. რამდენიმ დაღუპულთა არ იციან. ჯერ-ჯერობით ნა-

---

ფელეტონი

ამერ-იმერი

მწოლარეს შუა გზაზედა
და გაქელენთილსა ღვინითა
ამერს თავს ადგა იმერი
გარისხებულის პირითა:
„კაცო, რატომ არ იღვიძებ,
რით ვერ გასძეღი ძილითა?
საღამოს ჟამმა მოგასწრო
დაძინებულსა დილითა".
მუჯლუგუნსა სცემს და თანაც
ყურზე ებღრევა კბილითა.
„ადექი, კაცო, გაგთელავს
მიმავალ-მომავალია;
ან ცხენი შემოგვარდება,
გადგივლის ურმის თვალია".
ამერმა თვალი გაახილა
და შემოჰხედა ცერადა;
მან გაფრთხილება მოძმისაგან
თითქოს მიიღო წყენადა:
—რა გინდა, რაზე მაწუხებ,
არ მაძლევ მოსვენებასა?
მე მეძინება, ხომ ჰხედავ,
შენ კი არ მაძლევ ნებასა?!.—
„ჩემი მოძმე ხარ, ვისწრაფი,
მსურს მოგიყვანო ცნებასა",
უთხრა იმერმა კვალადა:
„არ მინდა მიგცე ვნებასა.
შეხედე ერთი, წამოდექ,
უყურე ხალხის კრებასა!
არმადა სთვლიან შენზედა
მონათვლა, მირვნის ცხებასა".
იმერის დარიგებაზე
ამერი იფხანს კეფასა,
თან ცალ-ყბივ ეტყვის:—ჩემს მგმობელს
მე ავუტირებ დედასა!
ჩემს მტანჯველ-დამღონებელსა
არც კი მე მივცემ შვებასა.
არ ადგა. მეორედ ჰკითხა
მძინარ-ზუზუნამ იმერსა:
—ხარ-კამეჩებს და ურემსა
მითხარ, ხომ არვინ მირევსა?
„სადაა, კაცო, ურემი,
აქ არსადა სჩანს წამლადა;
არც კამეჩები მოსჩანან,
თუ გახდნენ სხვისა დავლადა".
განაგონარმა ამერი
წამოაყენა ხელადა,
ადგა, გიჟივით დარბოდა
მინდორში, ტყეში, ველადა:
—ვაჰმე, შენ, ჩემო ნიკორავ,
სად დამეკარგე ხელადა?
სადა ხარ, შვინდა კამეჩო,
ნეტავ რაღა ვქნა საწყალმა?
რით მოვხნა ხოდაბუნები,
უნდა წამიღოს ქარ-წყალმა!
დიდ ხანს უცქირა იმერმა,
თვალ-ცრემლიანმა, გამწყრალმა
და თან წარმოსთქვა მწარედა:
„რა ვქნა, ან რაღა ვურჩიო:
„არ მისდევს ჩემსა სიტყვასა
„ეგ გაუთლელი, ურჩიო;
„ვერას შევასმენ, კიდეც ვცა
„თავში ხმალი, თუნდ გურჩიო,
„როცა გუთანი ჰგონია
„ამ წუთის სოფლის ბურჯიო.
კაჰკაჰიც ამას ჩხაოდა,
იქვე რო იდგა ბუჩქში:
„სად თქმულა მკერდ-გაღეღილი
„უხარ-გუთნოდა გურჯიო"!

ვაჟა-ფშაველა.

სიტყვა-კაზმული მწერლობა 1903 წელს

(შემდეგი *)

ჩვენის მწერლების უკვე აღნიშნულს ზედაპირულებას და ღრმად ხედვის უქონლობას ბუნებითად და აუცილებლივ მოსდევს თან გარდა ტიპების დაუმთავრებლობისა კიდევ სხვა მრავალი შეუწყნარებელი და გულის დამაღონებელი ნაკლულევანება. ხშირად ქართველი ბელლეტრისტი სრულიად ივიწყებს, რომ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების შინაარსი უთუოდ კონკრეტულ, ინდივიდუალურს ფორმაში უნდა იყოს ჩამოსხმული, და ამის გამო მოთხრობის სახელით მკითხველ საზოგადოებას აწვდის ფუჰს ზოგად აზრებს და შენიშვნებს, რომელნიც ბევრჯელ სიმართლესაც მოკლებულნი არიან. ხშირად დაუფიქრებლივ დაწყებულ ამბის გასათავებლად და როგორმე მოთხრობისთვის ბოლოს მისაცემად მწერალი იძულებულია, რაიმე უბედური და უცაბედი შემთხვევა გამოიგონოს. უდროოდ მოჰკლას ფანტაზიის მიერ ყალბად შექმნილი გმირი და გარეგნობით დაასრულოს ნაწარმოები. ხშირად ისიც-კი მოხდება ხოლმე, რომ მოთხრობა სრულიად დაუმთავრებელი რჩება, რადგანაც ყალბად განზრახულის ამბის დასასრულებლად მწერლის ფანტაზია ვერსაით საღსარს ვეღარ ჰპოულობს. როდესაც სამხატვრო კალამი ხელში ნიჭიერს და გამოცდილს მწერალს უპყრავს—მაშინ ეს ნაკლულევანებანი თითქოს უჩინარნი ჰხდებიან, ქარწყლდებიან მოხდენილ სურათების შთაბეჭდილებათა მორევში, მაგრამ უამისოდ კი სწორედ დიდს უმადურებას ჰგრძნობს მკითხველი მწერლისადმი, რომელიც ესტეტიურის სიამოვნების წილ უსიამოვნებას ჰგვრის და უსამართლოდ აკარგვინებს დროს.

გასულს წელს ამ გვარი ნაწერები საკმაოდ ბევრი იყო. ჩვენ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ბ-ნ დუტუ-მეგრელის მოთხრობას „დაშორებულნი" და ბ ნ ე. მ—შვილის „კოლა მშველიშვილზე".

ბ-ნ დუტუ მეგრელის მოთხრობა აშენებულია იმ აზრზე, რომ გაუნათლებელს მამას, რომელიც შვილს სასწავლებელში ზრდის, და განათლებულ შვილს, რომელსაც უმაღლესი სწავლა მიუღია, ხშირად ერთმანეთისა არაფერი ესმით, მათ შორის ღრმა უფსკრული სჩნდება, რომელზედაც თვით მამაშვილურს სიყვარულს არ ძალუძს შემაერთებელის ხიდის გადება, და ამ გვარად მამა და შვილი „დაშორებულნი" არიან. ეს ზოგადი, პუბლიცისტური აზრი თავის-თავად მუდმივი, დაუძველებელი თემაა როგორც საპუბლიცისტო კვლევა-ძიებისთვის, ისე ფხიანის და სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებულის ბელლეტრისტისთვის. ყველასათვის ცხადია, რომ ისტორიულ წინმსვლელობას აუცილებლივ თან დასდევს ძველისა და ახალის თაობის შეტაკება, რომ ამ შეტაკებით იწყება ტრადიციების დარღვევა, ძველის კერპების დამსხვრევა და ახალის საყდრის აშენება. ვიცით, რომ ხშირად, როდესაც ეს ისტორიულის მნიშვნელობის ბრძოლა თაობათა შორის მწვერვალდება, მამანი და შვილნი ურთიერთს დაუნდობელს მტრებად სთვლიან, მაგრამ ბევრჯელ ორივე მხარე დროებით ივიწყებს რაიმე დიადის ისტორიულის მომენტის წინაშე განხეთქილებას და მაშინ რამდენსამე ხანს მამანი და შვილნი ერთსულ ჰმოქმედებენ, ერთსულ ჰგრძნობენ და ფიქრობენ. მებრძოლ თაობათა დროებითს ერთსულოვანებას საფუძვლად მუდამ ის გარემოება უდევს, რომ ორივე თაობას რაიმე მაღალი საერთო გრძნობა, საერთო ინტერესი აქვს. რაც უფრო ბევრია მამებსა და შვილებს შორის კავშირის დამამყარებელი ინტერესი, რაც უფრო ღრმა არის იგი და საფუძვლიანი, მით უფრო მძიმედ ეჩვენებათ შვილებს ბრძოლის დაწყება, მით უფრო ღრმა პსიხოლოგიური საძირკველი უნდა ჰქონდეს განხეთქილებას, რომ ბრძოლა ასტყდეს. თაობათა შორის განხეთქილების დასასურათებლად ბ. დუტუ მეგრელს მოთხრობის ასპარეზზე გამოჰყავს მოხუცი მამა და ახალგაზრდა სტუდენტი შვილი. ყელამდე სიღარიბეში ჩაფლული მამა, ნიკიფორე, ყველაფერს იკლებს თითონ და აკლებს ოჯახს მხოლოდ იმისთვის, რომ თავის სვიმონს უნივერსიტეტში არაფერი მოაკლოს და დროზე ფულის მიწოდებით ხელი შეუწყოს უმაღლესის სწავლის მისაღებად. როდესაც ნიკიფორეს სხვა არაფერი საღსარი აღარ დაჰრჩა—უკანასკნელი ვენახი დააგირავა და სვიმონს კი ფული გაუგზავნა. ასე ძლიერ, ასე უსაზღვროდ და განუზომელად შესტრფის ნიკიფორე თავის იმედს, თავის სვიმონს, რომელიც იმისთვის და მთლად მისი ოჯახისთვის ერთად ერთი მანათობელი ვარსკვლავაა ყურადღებით მიაცურის მომავლის ცაზე.

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი" № 2368.

პოვნია 15 დამწვარი კაცის გვამი. ბევრი დასახიჩრებულია.

◆ ადესის სასამართლოს განუხილავს საქმე 17 გლეხისა, რომელნიც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი შტუნდიზმის მიმდევრობისათვის, და გადაუწყვეტია ბრალდებულთათვის ოც-ოცი დღით დაპატიმრება.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. კვირას, 4 იანვარს, ვ. ს. მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნა შილერის დრამა „ყაჩაღები". თეატრის დარბაზი სავსე იყო მაყურებლით. საზოგადოებამ საყვარელი არტისტი-ბენეფიციანტი დიდის აღტაცებით მიიღო სცენაზე გამოსვლისათანავე და ყოველ მოქმედების შემდეგ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა.

ჩვენს საზოგადოებას „ყაჩაღები" ბევრჯელ უნახავს და ქართულ გაზეთებში არა ერთხელ დაწვრილებით გაურჩევიათ ჩვენი არტისტების და ვ. ს. მესხიშვილის მიერ როლების ასრულება. გუშინდელს წარმოდგენაში კვლავინდებურად თავი იჩინეს ისევ ბენეფიციანტმა გონივრული თამაშით, ბ-ნმა ყიფიანმა და ნ. ჩხეიძემ. საზოგადოთ-კი პიესა ისე კარგად არ იყო მოწყობილი, როგორც კლასიკურს და ჩვენს სცენაზე ასე ხშირად ნათამაშევს პიესას შეეფერება. სტატისტები და მეორე ხარისხის არტისტები დანარჩენ არტისტების კარგის თამაშით მოხდარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ და აცივებდნენ.

როგორც ხმა დადის, ქართული სცენის მოყვარენი აპირებენ საარტისტო საზოგადოების თეატრში ქართულად თავ. სუმბათაშვილის დრამის „ღალატის" წარმოდგენას.

წვრილი ამბები

ელეონორა დუზე და გაბრიელ დ'ანუნციო. გამოჩენილი არტისტი ქალი ელეონორა დუზე და არა ნაკლებ გამოჩენილი პოეტ-დრამატურგი დ'ანუნციო სამუდამოდ განშორდნენ ერთმანეთს. მიზეზი, როგორც ყოველთვის, ქალი იყო – ახალგაზდა, დიდმომავლიანი არტისტი ირმა გრამატიკა. დ'ანუნციოს ჭაბუკურის გატაცებით შეუყვარდა ეს ახალგაზდა მსახიობი და თავის ახალ პიესაში მთავარი როლი იმას მიანდო და არა დუზეს, როგორც ყოველთვის. ამით ნაწყენმა დუზემ თავის რეპერტუარიდან სამუდამოდ განდევნა დ'ანუნციოს პიესები. იტალიელნი ერთხმად ჰკიცხავენ დ'ანუნციოს, ხოლო დუზეს თაყვანის მცემლებმა გადასწყვიტეს, ხაჯაროდ პროტესტი გამოუცხადონ პოეტს.

**

უმდიდრესი ოჯახი დედამიწაზე. ამერიკის გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ როკფელერის ოჯახზე, რომელსაც დღეს უმდიდრეს ოჯახად სთვლიან მთელ დედამიწის ზურგზე. როკფელერს „ნავთის მეფეს" ეძახიან, რადგან იგი ნავთით გამდიდრდა. „ნავთის მეფეს" ერთად-ერთი შვილის შვილი ჰყავს, ახალგაზრდა ქალი აბბი ალრიკ. აი, ამას დაუტოვებს როკფელერი მთელ თავის შეძლებას. ათის წლის წინად როკფელერის შეძლება 300 მილიონ მანეთს უდრიდა, დღეს 2 მილიარდ მანეთს უდრის. თუ ასე წავიდა საქმე, აბბი ალრიკის ქონება მაშინ, როდესაც 60 წლისა შესრულდება, 190 მილიარდი მანეთი იქნება (თუ რა დიდია ეს ფული, მკითხველს იმით შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ უზარ-მაზარ რუსეთის წლიური ბიუჯეტი უდრის 2 მილიარდ მანეთს). როკფელერი ქველმოქმედიც არის და დიდ ფულსა სწირავს სხვა-და-სხვა დაწესებულებას. ამას წინად, მაგალითად, ჩიკაგოს, უნივერსიტეტს 3,600 ათასი მან. შესწირა.

**

ნახევარი მილიონი მანეთი ხელთნაწერში. ვის არ გაუგონია გამოჩენილი მილტონი და იმისი „დაკარგული სამოთხე".! როდესაც მილტონმა „დაკარგული სამოთხე" დასწერა, ჯილდოდ გამომცემლისაგან 1665 წელს მიიღო მხოლოდ 150 მანეთი. ამას წინად იმ დროინდელი ხელთნაწერი იპოვნეს „დაკარგულ სამოთხისა". აი, ამ ხელთნაწერში ერთმა ამერიკელმა მილიონერმა პატრონს ნახევარი მილიონი მანეთი შეაძლია.

**

ბავშვების გაცვლა-გამოცვლა. ერთმა პარიზელმა ფრანგმა, ტონი მატიემ, მეტად საინტერესო საზოგადოება დააარსა. საზოგადოებას აზრადა აქვს დააახლოვოს ერთმანეთთან სხვა-და-სხვა ერის ოჯახები. ამ აზრით ოჯახები დროებით ერთმანეთს თავიანთ ბავშვებს გაუგზავნიან. მაგალითად, პარიზში მცხოვრები ფრანგის ოჯახი თავის შვილს გაუგზავნის პეტერბურგში მცხოვრებ რუსის ოჯახს, ხოლო ამ ოჯახის შვილს თვითონ მიიღებს. მოზარდი თაობა ასეთის საშუალებით ენასაც მალე შეისწავლის და უცხო ერსაც უკეთ გაიცნობს. როდესაც ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ თავისი სურვილი გამოაქვეყნა, 135 ოჯახმა განაცხადა თანხმობა (66 ოჯახი საფრანგეთში, 69 ოჯახი საზღვარ-გარედ). აი, ამ ოჯახებმა შარშან ზაფხულს კიდეც გაუგზავნეს ერთმანეთს ბავშვები და, როგორც ეხლა გაზეთები სწერენ, ამ პირველმა ცდამ სამაგალითო ნაყოფი მოიტანა თურმე. საზოგადოებას თითქმის ყველა დედმამისაგან დიდი მადლობა მოუვიდა ამ კარგ საქმის დაწყებისათვის.

**

იაპონელი მანდილოსნები და ევროპიული ტანისამოსი. ამას წინად ტოკიოში, იმპერატორის სასახლეში, დიდი ბალი გაიმართა. ამ ბალზე ევროპიული ტანისამოსი მარტო იაპონელ პრინცესებს ეცვათ, იაპონელი მანდილოსანნი-კი ყველანი დემონსტრატიულად იაპონურ ტანისამოსში გამოწყობილიყვნენ. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს იაპონელი მანდილოსანნი ისევ თავიანთ მოხდენილ და ხალვათ ტანთსაცმელს უბრუნდებიან. იაპონელებს ძალიან ეჯავრებათ ევროპიული ვიწრო ტანისამოსი, განსაკუთრებით კორსეტები. ბალებზე, ცეკვაობის დროს, მანდილოსნებს ხშირად გული უღონდებოდათ ხოლმე. ბევრი მანდილოსანი, კორსეტით შეწუხებული, იქვე იხსნიდა ზედა ტანისამოსს და თავიდან იშორებდა კორსეტს. ამის მნახველი ევროპიელი მანდილოსანნი გაოცებას ეძლეოდნენ, მაგრამ იაპონელნი ამას აინუნშიაც არ იგდებდნენ.

მარცვლის ჩრჩილი სიმინდზე

ქუთაისის გუბერნიაში და ახალი საშუალება იმის მოსასპობად *)

აგრონომის ს. ტიმოფეევისა

ამ სამი წლის წინათ სამეგრელოს, გურიის და სოხუმის ოლქის დაბლობ ადგილებში გაჩნდა პეპელა—მარცვლის ჩრჩილი, რომლის მატლი სიმინდის მარცვალს უჭამს გულს (ნახატი 1). მას აქეთ მარცვლის ჩრჩილი განუწყვეტლივ ანადგურებს სიმინდს იმ ადგილებში და ამ ბოლოს დროს იგი მეზობლათ მდებარე ადაგებშიაც გავრცელდა. ეხლა ის მოდებულია მთელს გურიაში, სამეგრელოში, სამურზაყანოში, ქუთაისის მაზრაში და ალაგ-ალაგ რაჭა-ლეჩხუმშიაც და არამც თუ დაბლობ ადგილებში, არამედ მაღლობზე მდებარე სოფლებშიაც. ქვემო იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში ის შეჰყვა სამეგრელოდან შემოტანილ სიმინდს.

ეს მავნე მწერი დიდი ხანია ცნობილი როგორც სხვა ქვეყნებში, ისე კავკასიაშიაც. იმ მოვლენის მიზეზი, რომელსაც ქუთაისის გუბერნიაში ეძახიან „ფურის გაფრენას", ხშირად მარცვლის ჩრჩილი იყო ხოლმე. ხან-და-ხან ის ძველ სიმინდსაც უჩნდებოდა წინათ, მაგრამ ამ ნაირად ძლიერ გავრცელებული, როგორც ეხლა არის, არაგინ მოსწრებია ქუთაისის გუბერნიაში. ესეთი ძლიერი გავრცელება ჩრჩილისა შეიძლება აიხსნას იმითი, რომ უკანასკნელი სამი წელიწადი ზედი-ზედ შეხვდა ნოტიო და წვიმიანი შემოდგომა. ამ მიზეზით სიმინდი კარგათ არ მწიფდებოდა და ნედლად ინახებოდა. ეს ხელს უწყობდა ჩრჩილის მატლს ადვილად შემძვრალიყო სიმინდის მარცვალში და გამოეჭამა მისი გული. ამასთანავე თბილი ზამთრებიც დაუდგა და უფრო გაუადვილა გამრავლება.

მარცვლის ჩრჩილის პეპელას რუხი ფერი აქვს (ნახატი 2 და 3) და შეხედულობით ძლიერ ჰგავს ტანისამოსის ჩრჩილს. პეპელა სდებს სიმინდის მარცვალზე ოთხმოციდან ას ორმოცდაათამდე ძლიერ პატარა კვერცხებს (ნახატი 4), გროვა გროვად. ერთი კვირის შემდეგ კვერცხებიდან გამოდიან მოთეთრო მატლები (ნახატი 5), რომელნიც იმდენი ხანი დაფოფხავენ, სანამ არ მოსძებნიან სიმინდის მარცვალზე რბილ ადგილს, საიდანაც შეძვრებიან შიგ. უფრო ხშირად მარცვალში შეძვრება ხოლმე ერთი მატლი, მაგრამ ხან-და-ხან შეიძლება შიგ ორი და სამიც იყოს. მარცვალში შემძვრალი მატლი სიმინდს გამოუჭამს გულს და ხშირად ჩიპსაც უფუჭებს, ესე იგი უსპობს გაღვივების თვისებას. მატლი მარცვალში იზრდება და როცა ზრდას დაამთავრებს, გამოხვრეტს მას ერთ ადგილს, რომ ამით გაუადვილოს პეპელას მარცვლიდან გამოფრენა და შემდეგ კი გარდაიქცევა კუტად (ნახატი 6). კუტს პირველად ყვითელი ფერი აქვს და მერე კი მუქი-წითელი. რამდენისამე დღის შემდეგ იგი გარდაიქცევა პეპელად, რომელიც გამოფრინდება მარცვლიდან, მატლისგან გაკეთებულ ნახვრეტიდან. მარცვალში კი რჩება მხოლოდ კუტის კანი. პეპლები დაიწყებენ ფრენას და მონახავენ მაღე კვერცხების სადებ ადგილს.

შემოდგომაზე გამოფრენილი პეპლები კვერცხებსა სდებენ სიმინდზე როგორც სასიმინდეებში, ისე მინდორშიაც. ამ კვერცხებიდან გამოსული მატლები შეძვრებიან მარცვლებში და შიგ დაიზამთრებენ. გაზაფხულზე ეს მატლები გარდაიქცევიან კუტებად, ეს უკანასკნელნი კი—პეპლებად.

მატლისაგან გამოჭმული სიმინდი არც საჭმელად ვარგა, არც სათესად, განსაკუთრებით, როცა ჩიპი აქვს გაფუჭებული. ამის მიზეზით სათესლე სიმინდი ან უნდა გადარჩეს კარგათ, რომ გაფუჭებული მარცვალი არ შეჰყვეს, ან და კიდევ უკეთესი იქნება, თუ იმას მოიტანენ ისეთ ადგილიდან, სადაც ჩრჩილი არ არის გაჩენი

---

*) ეს წერილი ბ-ნ ტიმოფეევისა ცალკე წიგნაკად გამოვიდა. ვბეჭდავთ ეხლა გაზეთში იმიტომ, რომ ქუთაისის გუბერნიის ყოველის მკვიდრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რედ.

სვიმონი უკანასკნელს კურსზეა და მამას დიპლომით დაჯილდოვებული შვილი წინადვე უხარიან, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, სვიმონს სტუდენტების არეულობაში მონაწილეობის მიღებისა გამო უნივერსიტეტიდან ითხოვენ. ნიკიფორეს დიპლომიანის სვიმონის ნაცვლად სახლში გამორიცხული სტუდენტი უბრუნდება. ეს ამბავი უეცრივ უსპობს ნიკიფორეს მომავლის იმედებს, უეცრივ უქრობს მომავლის გამაბრწყინებელს სანთელს. სვიმონს კი ჰგონია, რომ იგი სწორედ ისე მოიქცა, როგორც პატიოსანს კაცს შეეფერებოდა; სვიმონი დარწმუნებულია, რომ სტუდენტების მოძრაობაში მონაწილეობის მიუღებლობა—ღალატი იქმნებოდა. ნიკიფორე შვილს საყვედურს ეუბნება, რად ჩამაგდე ამ დღეში, სვიმონი კი უპასუხებს, შენ არ გესმის, თორემ მე ძალიან კარგად მოვიქეცი, და თუ უნივერსიტეტიდან გამომრიცხეს—რა ვუყოთ, საერთო საქმე უმსხვერპლოდ არ კეთდება.

ვიდრე ამ მოთხრობის საგანი იმ შემთხვევას არ გასცილებია, რომელმაც დაჰბადა უკმაყოფილება ნიკიფორესი შვილისადმი, ვიდრე ბ-ნი დუტუ მეგრელი ამ უკმაყოფილებას ისე უყურებს, როგორც გარდამავალს მოვლენას—საქმე რიგიანად მიდის. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ერთს ადგილას ავტორმა ფრიად საგულისხმო ზომიერება და ადამიანის გულის საკმაო ცოდნაც გამოიჩინა. ნიკიფორე შვილის მოსვლის წინ მარანში იმალება, რადგანაც გაჯავრებულია შვილზე, მაგრამ უყვარს კი ისევ, ებრალება კიდეც და არ უნდა, რომ სამხარზე ღვინო არა ჰქონდეს: ღვინისთვის აქ შემოვა ვინმე და მე მოვხდი ქვევრს, თორემ შეიძლება [illegible] ღვინო მიუტანონო—ასე ჰფიქრობს იმედ გაცრუებული მამა. სამწუხაროდ, ბ-ნმა დუტუ მეგრელმა არ იკმარა თავის ნაწერის შინაარსი ამ უკმაყოფილების დასურათებით შემოეფარგლა; ნიკიფორესა და სვიმონის შორის მშობლიურის სიყვარულის დროებით შემარყეველი უკმაყოფილება ძირითად განხეთქილებად წარმოიდგინა, მამასა და შვილს შორის უფსკრული შეჰქმნა, ისინი ერთმანეთს დააშორა და განათლებულს სვიმონს მამის თავგანწირული სიყვარული ფულად აანგარიშა საბუხჰალტერო ჩოტკზე. რატომ? ჩვენ ზემოდვე ვთქვით, რომ თაობათა ბრძოლა ისტორიულად აუცილებელი ფაქტია და ბელლეტრისტისთვის წარმტაცი უნდა იყოს დასურათება ამ ბრძოლისა მამასა და შვილს შორის, რომელთაც ბუნებითი სიყვარული აკავშირებს და პრინციპიალური განხეთქილება კი აცალკევებს, მაგრამ ყოველს ტანთსაცმელს შესაფერი სარჩული უნდა და მამაშვილის დაშორებას გარკვეული იდეიური და პსიხოლოგიური ნიადაგი. ბ-ნმა დუტუ მეგრელმა სწორედ აქ უმტყუნა მწერლის მოვალეობას, სწორედ აქ აუქცია გვერდი მხატვრობითს სინამდვილეს. ავტორის აზრით, ნიკიფორე ისე უყურებდა შვილის აღზრდას, როგორც მწარმოებელი თავის ქარხანას, რომელზედაც ფულს იმიტომ ჰხარჯვენ, რომ შემდეგ მოგებით დაუბრუნდეთ უკან; სვიმონი კი სწავლას თვით სწავლისთვის იძენდა; ამიტომ ნამდვილად მამას მხოლოდ დიპლომი უნდოდა შვილისთვის, შვილს კი დიპლომი ჩირადაც არ მიაჩნდა. ამგვარად ბ-ნი დუტუ მეგრელი უკმაყოფილების განხეთქილებათ გადაქმნისათვის იძულებული გახდა უდიდესი ბრალდებითი ოქმი შეეთხზა როგორც მამის, ისე შვილის შესახებ. სვიმონს დასწამეს სწავლის შეძენის სურვილი თვით სწავლისათვის, ე. ი. დააბრალეს, რომ იმას არავითარი წარმოდგენა არა აქვს თავის მომავალ მოქმედების შესახებ, რადგანაც სწავლა სწავლისთვის სრული ულოღიკობაა. უმეცარი ნიკიფორე კი არა, მე ვფიქრობ თვით ბ-ნი დუტუ მეგრელი ვერ აჰხსნის, რას ჰნიშნავს სვიმონის სწავლა სწავლისთვის. ვიცით, რომ ადამიანის ბუნება ცნობის მოყვარეა, ხშირად ეს ცნობისმოყვარეობა ადამიანის მთელს სიცოცხლეს განსაზღვრულს მიმართულებას აძლევს, კაბინეთის ან ლაბორატორიის ოთხს კედელს შუა ამწყვდევს, მეცნიერულ ჭეშმარიტებას გარეშე სხვა ყოველსავე ინტერესს ავიწყებს, მაგრამ აქაც კი სწავლა ჭეშმარიტების აღმოსაჩენად უნდა კაცს და არა სწავლისთვის. მიუხედავად ამისა, სვიმონი სრულებით მეცნიერულის ჭეშმარიტებით არ არის გატაცებული, იმას სწავლა მაინცა და მაინც თვით მეცნიერებისთვის არ უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადო საქმისათვის სტუდენტების არეულობაში არ ჩაერეოდა და მიუხედავად ამხანაგების საერთო მოძრაობისა, წყნარად იკითხავდა ბრძნულს წიგნებს თავის კაბინეთში ან მშვიდად იმუშავებდა სადმე ლაბორატორიაში მიკროსკოპით შეიარაღებული. დიახ, ბ-ნი დუტუ მეგრელი თავის გმირს ცილსა სწამებს, სვიმონს სწავლა სწავლასთვის კი არა, სხვა რამე მიზნისთვის უნდა, მაგრამ რისთვის სახელდობრ? აი სწორედ აქ იჩინა თავი ბ-ნის დუტუ მეგრელის არა მხატვრობითმა მისწრაფებამ ზოგადი სიტყვებისა და აზრებისაკენ, აი სწორედ აქ უმტყუნა მწერალმა თავის მოვალეობას კონკრეტულ ფორმების შესახებ, აი სწორედ აქ აუქცია გვერდი ავტორმა ადამიანის გულში ჩახედვას და მკითხველს სვიმონის გულის ნადების წილ უაზრო ზოგადი სიტყვები მიაჩეჩა.

ამგვარად, ბ-ნი დუტუ მეგრელი ზედაპირულად მოეკიდა საგანს, რასაც ბუნებითად მოჰყვა ტიპის დაუმთავრებლობა (ჩვენ არ ვიცით, საით მიისწრაფის სვიმონი) და ზოგადი ადგილების ჩართვა მოთხრობაში. სვიმონის ფორმულას „სწავლა სწავლისთვის" მოთხრობის ავტორმა დაუპირისპირა ნიკიფორეს ფორმულა „სწავლა სამსახურის საშოვნელად საჭირო დიპლომისათვის". სვიმონის ჭეშმარიტი აზრი რომ გამოერკვია ბ-ნ დ. მეგრელს, მაშინ იმის დასაპირისპირებლად საჭირო აღარ იქმნებოდა ნიკიფორეს ასეთი ახირებული კომერციული შეხედულება შვილის აღზრდაზე და მოსიყვარულე მამად დასურათებულის გმირის პსიხოლოგიური დამახინჯება, რადგანაც მამებსა და შვილებს მოქმედების პროგრამაში უამისოდაც ბევრი ღრმა მნიშვნელობის სადავო ადგილები მოიპოვებოდა, რომლებიც იმავე დროს ეხლანდელის ცხოვრების სარკედაც გამოდგებოდნენ. ერთს შეცდომას სამხატვრო ხელოვნებაში ბევრი სხვა დაედევნება ხოლმე, თორემ რა ძალა ედგა ბ-ნ დუტუ მეგრელს მოსიყვარულე მამის აზრებში ასეთი სავაჭრო კომბინაცია გამოეხატა. უეჭველია, სიღარიბით შეწუხებულს ნიკიფორეს იმედი უნდა ჰქონოდა, რომ მალე შვილი დამეხმარება, მაგრამ სწავლას რომ ის ამ საზომით [illegible] მავდეს—ეს დაუჯერებელია.

ვსთქვათ, გამოირკვა განხეთქილება მამისა და შვილის შორის. რა უნდა მოჰყვეს ამას, რაში უნდა გამოიხატოს გარეგნობით ეს პრინციპიალური დაშორება მათ შორის?—რამდენიც უნდა ვაწვალოთ ფანტაზია, ჩვენ ამას ვერ ვიპოვით. ვერ ვიპოვით, იმიტომ რომ გარეგანი მოქმედება იდეიურს მხარეს უნდა ეთანხმებოდეს და აქ-კი „სწავლისათვის სწავლა" სვიმონს წიგნებს თუ წააკითხებს, თორემ სხვას ვერას მოამოქმედებინებს, და ნიკიფორეს კიდევ „დიპლომისათვის სწავლა" სტუდენტობიდან დათხოვნილს შვილს დიპლომებს ვერ მიაცემინებს. ამგვარად ბ-ნმა დუტუ მეგრელმა ისეთი პირობები შეჰქმნა, რომ აღარსაით გასავალი არა სჩანს, და აკი თვით ავტორმაც ველარ იპოვა სახსარი და მოთხრობის დასასრულებლად სვიმონი სახლიდან ტფილისში გაჰგზავნა და შინ ვექსილის მზგავსი ბარათი დაატოვებინა, რაც ჩემზე ფული დაგიხარჯავთ, ვეცდები უკან დაგიბრუნოთო. უნებურად მაგონდება მშობლებისაგან დატუქსულ ბავშვის გაბუტება. ბავშვმაც სწორედ ასე იცის, როცა გაუჯავრდებიან, სახლიდან გაიქცევა, თუმცა თითონაც არ ესმის, საით, რისთვის და როდემდის? რითი განსხვავდება სვიმონის საქციელი გაბუტულის ბავშვის უაზროდ, დაუფიქრებლად სახლიდან გაქცევისაგან? მხოლოდ იმით, რომ ბავშვი უფრო რადიკალურად იქცევა ხოლმე, ის წასვლის წინ წერილებს არა სწერს და საეჭვო ღირსების მოვალეობის საბუთს არავის უტოვებს ხელში.

ჩვენ განგებ შევაჩერეთ მკითხველის ყუ-

ეროვნული

თუ ეს ძნელი მოსახერხებელია, მაშინ სქლად მაინც უნდა დაითესოს სიმინდი.

მარცვლის ჩრჩილის დასახოცად ხმარობენ ერთნაირ წამალს, რომელსაც ჰქვიან გოგირდის ნახშირმბადი (სერნისტი უგლეროდი). ეს წამალი უფერულია წყალივით და ძლიერ მყრალი სუნი აქვს, რომელიც ამასთან მავნებელიც არის კაცისათვის, თუ ბევრი შეისუნთქა. დაგ-ახდილ ჭურჭელში გოგირდის ნახშირმბადი უცბად იქცევა ორთქლად და ამიტომ ჭურჭელი, რომელშიაც ის არის ჩასხმული, ძლიერ მაგრად უნდა იყოს თავდაცმული. გარდა ამისა ამ წამლის ხმარების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო—მოკიდებული სპიჩკა, პაპიროსი ან ყალიონი თუ მიიტანეთ ახლო, მაშინვე მოეკიდება ცეცხლი, იფეთქებს და გახეთქს იმ ჭურჭელს, რომელშიაც ასხია.

გოგირდის ნახშირმბადით მარცვლის ჩრჩილის დახოცვა შეიძლება შემდეგ ნაირად: დახურულ ადგილას,—თუ არ არის საშიში, რომ წყალი მოვა,—უნდა მოითხაროს ორმო, და შიგ ჩაიყაროს სიმინდი. ორმოს თავი ფიცრებით უნდა დაიხუროს და ზედ დაეყაროს მიწა ნახევარი არშინის სისქეზე მაინც, რომ ორმოდან ჰაერი არ ამოვიდეს. სახურავის ერთ ფიცარში გაკეთებულ ნახვრეტიდან ორმოში უნდა ჩაასხათ ზომით გოგირდის ნახშირმბადი, მაგრად დაუცოთ ნახვრეტი და ზევიდან მიწა დააყაროთ. სადაც ორმოს ამოთხრა მოუხერხებელია რომელისამე მიზეზით, სიმინდის წამლობა შეიძლება აგრეთვე ჭურში, ბოჩკაში და ყუთში, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ბოჩკა და ყუთი უეჭველად ძლიერ უნდა გაიგლისოს, რომ ჰაერი არ გამოვიდეს.

სიმინდის წამლობა მაშინა სჯობია, როცა პეპლები შესწყვეტენ ფრენას, ესე იგი ნოემბრიდან დაწყებული მთელი ზამთრის განმავლობაში.

ოცდა ათ ფუთ, ან სამოც ბათმან სიმინდს უნდება ერთი ჩაის სტაქანი გოგირდის ნახშირმბადი; ჩასხმის შემდეგ სიმინდი უნდა დარჩეს იმ ჭურჭელში, რომელშიაც ნაწამლია ერთი დღე და ღამე, ანუ ოცდაოთხი საათი. შემდეგ ამისა შეიძლება სიმინდი ამოიღოთ და შეინახოთ; მის მაგიერ კი სხვა სიმინდი ჩაყაროთ ჭურჭელში და უწამლოთ.

ნაწამლი სიმინდი რამდენისამე დღის შემდეგ ჰკარგავს ყოველსავე სუნს, რომელსაც აძლევს გოგირდის ნახშირმბადი. საზოგადოდ ეს წამალი უცბათ ჰკლავს მწერებს და სრულიად არ აზარალებს სიმინდს. ნაწამლი სიმინდი საჭმელადაც გამოსადეგია და სათესადაც.

კარგი იქნებოდა, რომ მარცვლის ჩრჩილის დახოცვას მთელი სოფელი შეუდგებოდეს ერთად, თორემ ადვილად შესაძლებელია ნაწამლ სიმინდზე გადმოფრინდეს პეპლა მეზობლიდან და ისევ გაუჩინოს მატლი სიმინდს. მთელმა სოფელმა თუ გაბედა სიმინდის ერთად წამლობა, იმ შემთხვევაში მათ უნდა გააკეთონ ან ცემენტის დიდი ორმო ან-და დიდი ყუთი.

გოგირდის ნახშირმბადის შოვნა ცოტ-ცოტაობით შეიძლება: ქუთაისში—სახელმწიფო საცდელ მინდორში წყალ-წითელაზე; ხოპში—სოლომონ იოსავასთან; ქორესუბნის სანერგეში—სადგურ საჯავახოს სიახლოვეს და ოზურგეთში—აგრონომ ერმილე ნაკაშიძესთან.

სიმინდის ჩრჩილის წინააღმდეგ კიდევ შემდეგი ზომების მიღებაა საჭირო:

1) რადგან დაუმწიფებელ სიმინდს უფრო ადვილად უჩნდება ჩრჩილი, ამიტომ რაც შეიძლება უფრო ადრე უნდა დაითესოს სიმინდი და უფრო მშრალ ადგილებში, რომ მოასწროს კარგად დამწიფება. საადრო სიმინდს უფრო ნაკლებად აზარალებს ხოლმე ჩრჩილი.

2) ახალი სიმინდი არ უნდა შეინახოთ ერთად ძველ წამხდარ სიმინდთან. ეს უკანასკნელი ან უნდა შეაჭამოთ საქონელს და ფრინველს, ან-და იმასაც ისე უწამლოთ, როგორც ახალს.

3) როდესაც პეპლები დაიწყებენ ფრენას, სასიმინდეების ქვეშ უნდა დასწვათ საქონლის გამხმარი პატივი, სოველი ჩალა, ნედლი შეშა და სხვა, რომ ბოლი გაუჯდეს და პეპლები არ შეუშვას სასიმინდეში. ამნაირადვე უნდა მოიქცეთ მაშინაც, როცა ნაწამლ სიმინდს ჰყრით სასიმინდეში შესანახავად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და იუსტიციის მინისტრებმა და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა დაადგინეს, სამუდამოდ აიკრძალოს გაზეთი „რუსკაია ზემლია“. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელახლა ნება დართო გაზეთ „ნოვოსტი“-ს ცალკე ნომრობით გაყიდვისა.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა განაცხადა, საფუძველს მოკლებულია ის ცნობა, ვითომ რუსეთს მიემართოს ოსმალეთისათვის და ეთხოვოს, დარდანელის სრუტეში გვლის ნება დაერთოს შავის ზღვის ფლოტის გემებისათვის და ვითომ ამის თაობაზე ინგლის წინადადება წარედგინოს ოსმალეთისათვის.

სოფია („კორესპონდენტ ბიურო“). მთავრობა ცნობებს დებულობს, რომ მაკედონიის ზოგიერთ ადგილებში ოსმალეთის მოხელენი ბოროტ-მოქმედესას სჩადიან მცხოვრებთა წინააღმდეგ და ამნაირად ხელს უშლიან რეფორმების შემოღებასა და ქვეყნის სრულიად დამშვიდებას.

—მიუხედავად ბოლგარიის მთავრობის ენერგიულ ზომებისა გარდახვეწილთა სამშობლოში დასაბრუნებლად, მიუხედავათ აქ მათ გაჭირვებულ ცხოვრებისა, გარდახვეწილთ არ სურთ სამშობლოში დაბრუნება, რადგან ხედავენ მაკედონიაში დარჩენილ თავიანთ მოძმეთა მდგომარეობას. შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა აქ იმ ცნობამ, რომ პორტა ამნისტიას არ ანიჭებს ზოგიერთ კატეგორიას მაკედონელ აჯანყებულთა.

ნიუ-იორკი. უკანასკნელ 24 დღის განმავლობაში სან-ფრანცისკოში მოვიდა 5 ათასი დოლარი იაპონიის ოქრო; გამოგზავნილია აგრეთვე დანარჩენი ოქრო აქ შეძენილ სურსათისა და იარაღის ფასად.

ვაშინგტონი. მუკდენსა და ანდუნში საკონსულოების დაწესების გარდა, რუზველტი ფორმოზაში მეოფ კონსულს დანიშნავს სავაჭრო აგენტად შორეულ აღმოსავლეთში და დიდს რაიონსაც ჩააბარებს.

სტამბოლი. გამოიცა ირადე გენერალ ჯორჯისთან დადებულ კონტრაქტზე ხელის მოწერის შესახებ. შესაფერი ოქმი გაგზავნილია.

რომი. პორტამ გაუგზავნა რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს იმ ინსტრუქციის პირი, რომელიც გამოცემულია პროვინციის მოხელეთათვის სამოქალაქო აგენტთა მოქმედების შესახებ.

ბელგრადი. გრუიჩის სამსახურიდან გადადგომის შემდეგ (მოელიან, რომ გრუიჩი ბიუჯეტის განხილვის დაწყებისას გადადგება) უსათუოდ მოწვეული იქნება პროტიჩის მეთაურობით დროებით სამინისტრო.

ბერლინი. იმპერატორის განკარგულებით, კილსა და ვილგელმსგაფენში სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში გასაგზავნად მოამზადეს ქვეითა ჯარი. ამას გარდა მეორე ფლოტის დივიზიას ჩამოაშორებენ ერთ რაზმს 4 ზარბაზნით. ჯარი მიდის 8 იანვარს.

ტოკიო. პორტ-არტურში მცხოვრებ იაპონელებს ნამესტნიკი სრულ მფარველობას შეჰპირდა იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა.

გმუნდენი. დანიის მეფე კოპენჰაგენს წავიდა. მეფე ეხლა კარგადა ჰგრძნობს თავს.

ვლადივოსტოკი. დღეს დილით დაიწვა ციმმერმანის თეატრი, სადაც ივანოვის საოპერო დასი თამაშობდა. დაიწვა აგრეთვე თეატრის მახლობლად მდებარე სასტუმრო და კაფე-შანტანი, რომელიც იმავე პატრონს ეკუთვნოდა. არავინ არ დაღუპულა. ზარალი 100,000 მანეთს უდრის. არტისტები უსახსროდ დარჩნენ. ცეცხლის გაჩენის მიზეზი—გაუფრთხილებლობაა.

ვარშავა. გენერალ-გუბერნატორის მეუღლის მიერ წითელ ჯვრის სასარგებლოდ გამართულ „შობის ხიდან“ 24,000 მანეთი შემოვიდა.

პოლოცკი. სენკევიჩის და სხვა ლიტერატორთა მიერ გამართულ საჯარო ლექციიდან წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 600 მანეთი შემოვიდა.

ბერდიანსკი. ქალაქის საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

მინსკი. პირუტყვთა მფარველ საზოგადოების განყოფილება აარსებს სპეციალურ სამკურნალოს.

დვინსკი. დღეს გაიხსნა განსვენებულ საპატიო მოქალაქის ზაქსის ქვრივისა და შვილების ხარჯით აგებული თავშესაფარი.

ნიკოლაევი. ნიკოლოოზის გემების საშენებელ ქარხანაში დაიწყეს შენება სამის ახალ საესკადრო ნაღმიან გემისა—„ზადორნი“, „ზორკი“ და „ზვონკი“-სა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

რადლება ამდენს ხანს ბ-ნ დ. მეგრელის მოთხრობაზე, რადგანაც მაგალითით გვინდოდა დაგვესურათებინა, რომ ხშირად ზედაპირულებით გამოწვეული ერთი ყალბი ადგილი მოთხრობას სრულებით აფუჭებს, სურათების მაგიერ საერთო ადგილებს და სიტყვებს აწერინებს ავტორს და ფანტაზიის ბუნებით მიმდინარეობას გზას უკრავს.

—

ბ-ნ დუტუ მეგრელის მოთხრობაზე ბევრად სუსტად მიგვაჩნია ბ-ნ ე. მ—შვილის „კოლა მშველიშვილი“. ჰკითხულობ ამ დაუსრულებელს, გაჭიანურებულს მოთხრობას და ვერ გამოგირკვევია, საიდან უჩნდება ასეთი ენერგიული სურვილი თხზულების წერისა იმ კაცს, რომელსაც არც ფანტაზია აქვს, არც მშვენიერების ალღო და არც რაიმე აზრი. ჩვენის ფიქრით, ეს მოთხრობა სწორედ იმისი ნიმუშია, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს სამხატვრო ნაწარმოები. გმირი მოთხრობისა მეოთხე კლასიდან გამორიცხული სემინარიელია, რომელმაც ერთი თხოვნა გაგზავნა სადღაც, მთავრობასთან, ან ყოფაქცევის ნიშანი გამისწორეთ და ან სოფლის მასწავლებლად დამნიშნეთო. ვიდრე ამ თხოვნის პასუხი მოვა, ზის ჩვენი გმირი, კოლა მშველიშვილი, სოფელში და ელის, დაუსრულებლივ ელის. კოლა გულშემატკივარია, ძალიან სწყინს, რომ სოფლის საკეთილდღეოდ არავინ არას ფიქრობს, ინტელიგენტებიც კი, რა-თქმა უნდა, თვით იმის გარდა. თითონ კი, პასუხის მოლოდინში, გაჭირვებულ სოფლელებს სხვა და სხვა არზებს უწევს და დარწმუნებულია, რომ დიდს მზრუნველობას იჩენს ხალხისადმი, რომელიც იმას დიდად ემადლიერება, როგორც ერთად ერთს იმის კეთილის მსურველს. განსაკუთრებით ბევრი არზები დაუწერია კოლას ნაცვალზე, რომელმაც სოფლის ფული თავისთვის დახარჯა და ხალხს ყალბი ანგარიში წარუდგინა. მთავრობა ადგილობრივ ბოქაულს დაეკითხა [illegible] ბოქაულმა იცოდა, რომ ხალხს სწორედ ეს კოლა აქეზებდა, ღირსეულად შეამკო. ამის გამო ჩვენ გმირს არც ყოფა-ქცევის ნიშანი გადუსწორეს და არც მასწავლებლად დანიშნეს. რა დაემართა მაშ მშველიშვილს?—მოკლეს—ნაცვალმა მოკლა ხანჯლით ერთ ნადიმის დროს იმის გამო, რომ კოლამ სიტყვა წარმოსთქვა, ყველანი საზოგადო საქმეზე ვლაპარაკობთ და არავინ კი არაფერს ვაკეთებთო.

რად დასწერა ბ-ნმა მ—შვილმა თავისი მოთხრობა,—ეს ავტორის საიდუმლოებაა, ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ის კი ვიცით, იმიტომ მოკლა ასე უცაბედად ნაცვალმა კოლა, რომ თითონ ავტორს მოეწყინა თავის საყვარელს, იდეალურს გმირსა და იმის საგმირო საქმეებზე ლაპარაკი, და ბოლოს იფიქრა, უცებ რო მოკვდება, მეც უცებ გავნთავისუფლდები მწერლის ვალისაგანაო. ამ ფანტაზიის ნაყოფს, ან უფრო მართალი რომ ვთქვათ, ამ ფანტაზიის უნაყოფობას დაუმატეთ ბრტყელი, მოუქნელი ენა, შემკული ისეთის ქართულის მარგალიტებით, როგორიც, მაგალითად: „ფულის დაკურკვა“, „სიტყვის დამთქნარება“, „სიტყვის შობვა“, „სიტყვის პირიდან ამოშობვა“, და მაშინ ადვილად წარმოიდგენთ, რა უმართებულოდ სტანჯავს ზოგიერთი მწერალი ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის მკითხველთ, და რა ნაკლებად ჰზრუნავს ზოგიერთ პერიოდულ გამოცემათა რედაქცია იმისთვის, რომ მკითხველებს არც გემოვნება შეულახოს და არც დრო წაართვას ტყუილ-უბრალოდ მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმე ე. მ—შვილმა გაავტორება, გაბელეტრისტება მოისურვა.

ზანგი

(შემდეგი იქნება)

განცხადებანი

ახალი გამოცემა
წერა-კითხვის საზოგადოებისა
ბურჯი ეროვნებისა,
თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—სამ შაურად.

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში
დაიწყო გასყიდვა:
1) ფესვიანის დამყნილის ვაზისა—კრახუნას, ცოლიკაურის, ძველ-შავის, კაბერნეს და რქა-წითელის ჯიშებისა;
2) რქებისა ამერიკულ ვაზის Rupestris mont და Riparia gl-სა.
ადრესი უბრალო წერილებისა და დეპეშებისათვის: ст. Аджаметы Закавк. жел. дор.). Управляющему имѣнiемъ А. М. Татевосянъ. (12—)4.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა და იყიდება
საბერძნეთის ძველი ისტორია,
პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული
საქართველოს კალენდარი
ვ. გუნიასი
რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა.
კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული და შევსებული შემდეგი განყოფილებანი: 1) საეკლესიო კალენდარი, 8) ცა და დედამიწა (ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები), 3) სახელმწიფოთა მიმოხილვა, 4) კავკასია და საქართველო, 5) ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა და გემების მიმოსვლა, 6) იურიდიული ცნობები, 7) წონა, ზომა, საწყაო და სხ. 8) საოჯახო და საექიმო ცნობები, 9) სალიტერატურო განყოფილება, 10) ვრცელი საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X-სა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, პ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, პ. სურგულაძისა და სხ.
კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით, კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი. (3—1)

სასტუმრო ავრორა
მიხეილის პროსპექტზე, ვარანცოვის ძეგლის ახლო, სახლი № 29. 1-ლ იანვრიდან გაიხსნა რესტორანი ახალის პატრონისაგან. სასტუმროსა და რესტორანთან მშვენიერი კაბინეტებია. ბუფეტში არის ადგილობრივი და უცხოელი ღვინო. სამზარეულოს ზედამხედველობს თვით სასტუმროს პატრონი შეფი-მზარეული.
სადილი ორი კერძი—40 კ., სამი კერძი—60 კ., ოთხი კერძი—80 კ.; თვიურად ფასდაკლებით. საჭმელი მზადდება ახალ კარაქით და ახალის პრავიზიით, როგორც ევროპიული, ისე ჩვენებური.
ყოველდღე ბლინები
სადილების და ვახშმის შეკვეთა შეიძლება იაფად
პატივისცემით შარაბიძე და ამხ.
(3—2)